ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2019 წლის ---- ---------- ქ. ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა # ------

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, "ISUZU BOGDAN A092" მარკის ავტობუსი: სარეგისტრაციო ნომერი NPN094; საიდენტიფიკაციო ნომერი Y7BA092014B000364; გამოშვების წელი 2004; საბალანსო ღირებულება 700,00 (შვიდასი) ლარი, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “
თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 30 იანვარს წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის №175/02 (N2787/25) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობს მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლების პროცესი, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის ხელშეწყობის მიზნით, ერთი ავტობუსის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემა. შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით (#36; 15.01.2019წ.) განხორციელდა შპს ბათუმის „ავტოტრანსპორტი“-ს კაპიტალში რიცხული "ISUZU BOGDAN A092" მარკის ერთი ავტობუსის კაპიტალიდან ამოღება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ერთი ავტობუსის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:
ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან
საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე